განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„სამრეწველო ემისიების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:
საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით (შემდგომში - „ასოცირების შეთანხმება“) საქართველომ იკისრა ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა. „ასოცირების შეთანხმების“ ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა ეტაპობრივად, განსაზღვრულ ვადებში, დაუახლოვოს სამრეწველო დაბინძურებისა და სამრეწველო საფრთხეების სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობას. ამ მიზნით ეროვნულ კანონმდებლობაში ჰარმონიზებული უნდა იქნეს „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივის (შემდგომში - „ევროდირექტივა“) შესაბამისი დებულებები. კერძოდ, „ასოცირების შეთანხმების“ მიხედვით, უნდა მოხდეს:
- კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა;
- სამრეწველო ობიექტების განსაზღვრა, რომლებიც შესაბამის ნებართვას საჭიროებენ;
- ინტეგრირებული სანებართვო სისტემის ჩამოყალიბება (მუხლები 4-6, 12, 17(2), 21 და 24 და დანართი IV);
- სანებართვო პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება (მუხლი 8, 14(1)(d) და 23(1));
- საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვა, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელოებში მოყვანილი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების გათვალისწინებით (მუხლი 14 (3-6) და 15 (2-4));
- წვის ქარხნებისთვის გაფრქვევის ზღვრული ნორმების ლიმიტების დაწესება (მუხლი 30 და დანართი V);
- გარდამავალი ეროვნული გეგმების შემუშავება არსებული ქარხნებიდან მთლიანი ყოველწლიური ემისიის შემცირების მიზნით (არსებული ქარხნებისათვის ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დაწესება ნებაყოფლობითია) (მუხლი 32).

აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე დაძმობილების პროექტის (GE 14 ENI EN 02 16 (GE/24) ფარგლებში, ევროპელი ექსპერტების მონაწილეობით, „ევროდირექტივის“ მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავდა „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.
ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
ვინაიდან, „ევროდირექტივასთან“ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებისთვის საჭიროა ახალი სამართლებრივი რეჟიმის შექმნა (მათ შორის, ახალი სახის ნებართვისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების შემოღება, აგრეთვე, სხვა საკითხების მოწესრიგება, რაც საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვს), საჭიროა მიღებული იქნეს სამრეწველო ემისიების მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტი და მასთან ერთად, საკანონმდებლო პაკეტის ფარგლებში, ასევე ცვლილებები შევიდეს სხვა შესაბამის კანონებშიც.
ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, სამრეწველო საქმიანობებიდან გარემოს დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიმართულებით ჩამოყალიბდება ევროკავშირის კანონმდებლობის და ევროპული სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ადგენს ინტეგრირებული ნებართვის ფლობის ვალდებულებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების პოტენციალის მქონე ისეთი სამრეწველო საქმიანობებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია „ევროდირექტივის" პირველი დანართით (აღნიშნული საქმიანობები განისაზღვრება „სამრეწველო ემისიების შესახებ" საქართველოს კანონპროექტითაც). კანონპროექტი ეყრდნობა „ევროდირექტივის" შემდეგ პრინციპებს:

- **ინტეგრირებული მიდგომა:** ობიექტების რეგულირება ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედებას მთლიანობაში (მათ შორის, ემისიებს ჰაერში, წყალსა და ნიადაგში), ნარჩენების წარმოქმნას, ნედლეულის გამოყენებას, ენერგოეფექტურობას, ხმაურს, ავარიების პრევენციასა და ექსპლუატაციის ადგილის აღდგენას (ობიექტის საბოლოო დახურვის შემდგომ).
- **საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა (Best available techniques - BAT):** ინტეგრირებული ნებართვების გაცემა და ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ეფუძნება დასკვნებს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ და ევროპის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელო დოკუმენტებს (BREFs).
- **მოქნილობა:** ნებართვის გამცემ უწყებას უჩნდება შესაძლებლობა, რომ განსაზღვროს ემისიის ნაკლებად მკაცრი ზღვრული მნიშვნელობები იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც შეფასება გვიჩვენებს, რომ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან (როგორც ისინი აღწერილია დასკვნებში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ) დაკავშირებული ემისიის დონეების მიღწევა გამოიწვევდა გარემოსდაცვით სარგებლებთან მიმართებაში არაპროპორციულად მაღალ ხარჯებს, გეოგრაფიული მდებარეობის, ან ადგილობრივი გარემოსდაცვითი პირობების, ან ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების გამო.
- **გარემოსდაცვითი შემოწმების სისტემა:** სახელმწიფოებმა უნდა შექმნან გარემოსდაცვითი შემოწმებების სისტემა და შეადგინონ შემოწმების გეგმები. ობიექტებზე ვიზიტები უნდა განხორციელდეს მინიმუმ ყოველ 1-3 წელიწადში ერთხელ, სიხშირის დასადგენად რისკზე დამყარებული კრიტერიუმების გამოყენებით.
- **საზოგადოების მონაწილეობა:** საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საზოგადოების ინფორმირება მისი შედეგების შესახებ, ნებართვების მიღებაზე განაცხადების, გაცემული ნებართვების, ემისიების მონიტორინგის შედეგების ხელმისაწვდომობის გზით.

კანონპროექტი ეფუძნება „ევროდირექტივის" პირველ-მე-2 თავებს, შესაბამის (პირველი, მე-2, მე-3, მე-4) დანართებს. კანონპროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალს, ადგენს ინტეგრირებული ნებართვის გაცემის წესს, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრის კრიტერიუმებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპებს. რაც შეეხება „ევროდირექტივის" მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 თავებსა და შესაბამის დანართებში (მე-5, მე-6, მე-7 და მე-8) აღწერილ სპეციალურ დარგობრივ დებულებებს წვის დანადგარების შესახებ, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის შესახებ და იმ საქმიანობების შესახებ, რომლებიც იყენებენ ორგანულ გამხსნელებს, ისინი დამტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით (საქართველოს მთავრობის დადგენილებები).

კანონპროექტის პირველი დანართით გათვალისწინებული გარკვეული საქმიანობებისთვის (ენერგიის წარმოება, ლითონების წარმოება და დამუშავება, მინერალური ნედლეულის გადამუშავება, ქიმიური მრეწველობა, ნარჩენების მართვა) სავალდებულო იქნება ინტეგრირებული ნებართვა, რომელსახც გასცემს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო). ინტეგრირებული მიდგომის პრინციპი გულისხმობს ასევე შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებლისთვის მხოლოდ ერთი საავტორიზაციო დოკუმენტის - ინტეგრირებული ნებართვის არსებობას, რომელშიც გაერთიანდება ყველა გარემოსდაცვითი საკითხი და რომელიც ჩაანაცვლებს ყველა შესაბამის აღმჭურველ აქტს. აღნიშნული მიდგომა საქმიანობის განმახორციელებელს მნიშვნელოვნად შეუმცირებს ბიუროკრატიულ ტვირთს და ნებართვის გამცემ ორგანოსთან ურთიერთობის პროცესში დახარჯულ რესურსებს.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, ზემოაღნიშნულ საქმიანობათა უმრავლესობა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის გავლას და შესაბამისად, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას საჭიროებს. ასეთი საქმიანობებისთვის ინტეგრირებული სანებართვო სისტემის ამოქმედების შემდეგ გაიცემა მხოლოდ ინტეგრირებული ნებართვა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად განსაზღვრული პირობები. ახალი სისტემა იმუშავებს „ერთი სარკმლის“ პრინციპით და იმ საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებული პირი, რომელიც ექვემდებარება როგორც ინტეგრირებულ ნებართვას, ისე, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ერთიანი განაცხადით მიმართავს სააგენტოს და ამ კანონით დადგენილი პროცედურის მიხედვით აიღებს ერთ ნებართვას (ინტეგრირებული ნებართვა).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი საკითხი, რომელიც კანონპროექტით ინერგება, არის ე.წ. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გათვალისწინება. კერძოდ, ინტეგრირებული ნებართვის პირობები უნდა დაეფუძნოს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკას. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა არის საქმიანობის განხორციელების და შესაბამისი მეთოდების განვითარების ყველაზე ეფექტიანი და მოწინავე ეტაპი, რომელიც ინტეგრირებული ნებართვის ისეთი ეფექტიანი და მოქნილი პირობების (ემისიის ზღვრული მნიშვნელობები და სხვ.) დადგენის საშუალებას იძლევა, რომლებიც მიმართულია როგორც ემისიების, ისე, მთლიანად გარემოზე ზემოქმედების პრევენციისკენ, ხოლო სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია - შემცირებისკენ.

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის ინტეგრირებული ნებართვის პირობების საფუძვლად გამოყენების პრინციპი, დღესდღეობით ქვეყანაში მოქმედი მოძველებული გარემოსდაცვითი ნორმებისგან განსხვავებით, უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების რეგულირებას არამხოლოდ მთლიანად საწარმოდან, არამედ იძლევა თითოეული, ემისიის ინდივიდუალურ წყაროებზე ქმედითი ინტერვენციის საშუალებას.

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვით გაჩნდება ასევე გარემოს დისპერსიული დაბინძურების წყაროების (მაგ: ნაგავსაყრელები, ფერმები) რეგულირების უფრო ეფექტიანი მექანიზმი. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დარგობრივი ინფორმაცია თავმოყრილია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელოებში, რომელთა შემუშავებაც ხდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და სამრეწველო სექტორს შორის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკების შესახებ ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე. აღნიშნულ დინამიურ პროცესს წარმართავს დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის ბიურო (IPPC), რომელიც განთავსებულია ქ. სევილიაში (ესპანეთი). აღნიშნული სახელმძღვანელოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის

შესახებ დასკვნები, რომლებიც მტკიცდება ევროკავშირის მიერ და წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოლოგიები ვითარდება, ხოლო მათი გამოყენების მეთოდები იცვლება და იხვეწება, შესაბამისად, სახელმძღვანელოების/დასკვნების განახლებაც უწყვეტი პროცესია. დასკვნების განახლების პროცესს თან უნდა სდევდეს სააგენტოს მიერ გაცემული ინტეგრირებული ნებართვის გადახედვის/განახლების პროცესი. შესაბამისად, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემა უზრუნველყოფს ახალ ტექნოლოგიებზე სამრეწველო სექტორის მუდმივ ორიენტირებულობას და ქვეყანაში „მწვანე ეკონომიკის“ სტიმულირებას.

მნიშვნელოვანია, რომ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალი დასკვნების გამოქვეყნების შემდეგ, საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაფუძნებული, გაცემული ინტეგრირებული ნებართვაც პერიოდულ გადახედვას დაექვემდებარება. შესაბამისად, გაჩნდება ცვლილებებზე მორგებული და პროგრესზე ორიენტირებული ინტეგრირებული ნებართვების „ცოცხალი“ და ქმედითი სისტემა (განსხვავებით ამჟამად მოქმედი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისგან, რომელიც სავალდებულო გადახედვას და კორექტირებას არ ითვალისწინებს).

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონპროექტის მიხედვით, ინტეგრირებულ ნებართვას დაექვემდებარება არამხოლოდ ახალი საქმიანობები, არამედ არსებული ობიექტებიც (მათ შორის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე საქმიანობები). ინტეგრირებული სანებართვო სისტემა დაგეგმილი საქმიანობებისთვის, კანონპროექტის მიხედვით, ამოქმედდება 2026 წლის პირველი სექტემბრიდან, ხოლო არსებული საქმიანობებისთვის - 2029 წლიდან 2031 წლამდე, ეტაპობრივად, სექტორების მიხედვით.

ამასთან, სააგენტო ასევე უფლებამოსილი იქნება, ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცესში გადახედოს ამ კანონის ამოქმედებამდე გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში გამოცემულ შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მათში ცვლილება შეიტანოს. ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პირობებისა და ინტეგრირებული ნებართვის პირობების ერთმანეთთან შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ინტეგრირებული ნებართვის პირობებს მიენიჭება. ასეთი მექანიზმის დანერგვა არსებული რეალობის/გარემოებების მაქსიმალური გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ნებართვას დაქვემდებარული საქმიანობების სისტემატურ ჰარმონიზებას შესაბამის გარემოსდაცვით ნორმებთან/სტანდარტებთან.

კანონპროექტით მთავრობას ასევე ენიჭება უფლება, ცალკეული დარგებისთვის განსაზღვროს ზოგადი სავალდებულო წესები. ზოგადი სავალდებულო წესები წარმოადგენს დარგობრივ დონეზე განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ექსპლუატაციის პირობებს, ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დიაპაზონს და სხვა პირობებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას უშუალოდ ინტეგრირებული ნებართვის პირობების განსაზღვრის მიზნით. ზოგადი სავალდებულო წესები უზრუნველყოფს სამრეწველო სექტორის თანაბარ პირობებში ჩაყენებას. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი სისტემა, შესაბამისი გარემოებების შემთხვევაში, ასევე არ გამორიცხავს (ითვალისწინებს), საწარმოებთან ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობასაც.

განსხვავებით დღეს მოქმედი რეგულაციებისგან, კანონპროექტი ადგენს ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან გადახვევის შესაძლებლობას და იძლევა ემისიის ნაკლებად მკაცრი ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესაძლებლობას. ახალი სისტემა ინტეგრირებული ნებართვის მფლობელი ობიექტებისთვის, ინოვაციური ტექნიკის გამოცდა/გამოყენების მიზნით, ასევე განსაზღვრავს გარკვეული წახალისების მექანიზმსაც. ასეთ შემთხვევაშიც, სააგენტო უფლებამოსილია ინტეგრირებული ნებართვის მფლობელისთვის დაუშვას გამონაკლისი ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან.

ამავდროულად, სააგენტო უფლებამოსილია, ემისიის ზღვრულ მნიშვნელობებთან ერთად, საწარმოს დამატებით დაუწესოს, ან საერთოდ ჩაანაცვლოს ისინი შესასრულებლად სავალდებულო ექვივალენტური პარამეტრებით, ან ტექნიკური ღონისძიებებით, რომლებიც გარემოს დაცვის ექვივალენტურ დონეს უზრუნველყოფენ. ექვივალენტური პარამეტრები და ტექნიკური ღონისძიებები გულისხმობს ყველა იმ ფაქტორს/პარამეტრს, რომელიც იწვევს ან დაკავშირებულია ემისიის წარმოქმნასთან (აირჰაერნარევის მოცულობითი სიჩქარე, ტემპერატურა, დანადგარების ექსპლუატაციის სხვადასხვა რეჟიმები, ცხოველთა და ფრინველთა კვების სხვადასხვა სქემები, საწყობებისა და სანაყაროების ოპერირების წესები და ა. შ.). მოცემული მიდგომა, რომელიც გამომდინარეობს „ევროდირექტივიდან“, ქმნის მოქნილ მექანიზმს ერთის მხრივ ისეთი დანადგარების (ემისიის სტაციონარული წყაროების) სრულყოფილი რეგულირებისთვის, სადაც ემისიის ზღვრულ მნიშვნელობებთან შესაბამისობის ზუსტი კონტროლი შეუძლებელი, რთული ან არასაიმედოა (შედარებით ძველი დანადგარები), ხოლო მეორეს მხრივ - შესაძლებელს გახდის, მოხდეს ემისიების რეგულირება დისპერსიული წყაროებიდან, სადაც ემისიების გაზომვა და შესაბამისად, ზღვრული მნიშვნელობების დაწესება შეუძლებელია.

ახალი ინტეგრირებული სანებართვო სისტემა ქმედითი ინსტრუმენტია, რომელიც მაქსიმალურად ერგება და ითვალისწინებს გარემოს მდგომარეობის კუთხით არსებულ რეალობას. შესაბამისად, ტერიტორიებზე, სადაც ადგილი აქვს გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივ ნორმებთან შეუსაბამობას, ან მოდელირების შედეგად გამოიკვეთება ასეთი რისკი, ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილი იქნება, ინტეგრირებული ნებართვით დამატებითი ღონისძიებები დაადგინოს. დამატებითი ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს უფრო მკაცრი ინტეგრირებული ნებართვის პირობებს, ვიდრე ის პირობები, რომლებიც მიიღწევა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვის/გამოყენების გზით. აქვე ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მოცემული მიდგომა არ განსხვავდება დღეს არსებულისგან, როცა ემისიების ზღვრულად დასაშვები ნორმების დადგენა ასევე გარემოს ხარისხობრივი ნორმების გათვალისწინებით ხდება.

კანონპროექტის მიხედვით, ინტეგრირებული ნებართვის განაცხადისა და ინტეგრირებული ნებართვის ფორმები მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება, რაც ინტეგრირებული ნებართვის მაძიებელს მნიშვნელოვნად გაუმარტივებს ამ კანონით დადგენილი პროცედურების გავლას და ნებართვის გამცემთან ურთიერთობას.

ინტეგრირებული გარემოსდაცვითი სისტემა ასევე გულისხმობს სათანადო მონიტორინგისა და კონტროლის წარმოებას, მათ შორის, ინტეგრირებული ნებართვით განსაზღვრული პირობების თვითმონიტორინგს. კანონპროექტის მიხედვით, ემისიებთან დაკავშირებული მონიტორინგის მოთხოვნები (მ.შ. გაზომვის მეთოდოლოგია, სიხშირე, შეფასების პროცედურა) უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. კონტროლის სისტემა დაფუძნებული იქნება გარემოსდაცვითი რისკების შეფასებაზე და შემოწმებების სიხშირე იქნება განსხვავებული, შესაბამისი საქმიანობებიდან გამომდინარე პოტენციური რისკების გათვალისწინებით.

კანონპროექტი ასევე უზრუნველყოფს ინტეგრირებული ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალურ საჯაროობას და საზოგადოების ჩართულობას ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცედურის ყველა ეტაპზე. კანონპროექტით, სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) უზრუნველყოფს ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი განაცხადის შესახებ ინფორმაციის, ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას (მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას). აგრეთვე „ცენტრი“ უზრუნველყოფს საჯარო განხილვის ჩატარებას. ასევე, საკუთარ ვებგვერდზე განათავსებს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის ემისიის მონიტორინგის შედეგებს, საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში - ასევე, ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენის ზომების შესახებ და სხვ.

რაც შეეხება ინტეგრირებული ნებართვის გაცემის ვადებს: სააგენტო ინტეგრირებულ ნებართვას გასცემს შესაბამისი განაცხადის რეგისტრაციიდან 120 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში - 80 სამუშაო დღის ვადაში). აღნიშნული 120-დღიანი ვადა შეირჩა ევროპის ქვეყნების გამოცდილების და კანონმდებლობის ანალიზის გათვალისწინებით. მაგალითად გერმანიას, ინტეგრირებული სანებართვო პროცედურისთვის, დადგენილი აქვს 6-დან 12-თვემდე ვადა, ნიდერლანდების სამეფოს - 6-თვე (რომლის გახანგრძლივებაც შესაძლებელია ერთხელ, მაქსიმუმ 8 თვემდე). ჩეხეთის რესპუბლიკაში სანებართვო პროცედურისთვის გათვალისწინებულია 45-დან 90 დღემდე, ხოლო ესპანეთის სამეფოს გალიციის რეგიონში - არანაკლებ 10 თვე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნებართვის გაცემისთვის კანონპროექტით შეირჩა 120 სამუშაო დღე (დაახლოებით 6 თვე).

ინტეგრირებული ნებართვის გაცემის კანონპროექტით განსაზღვრული ზემოაღნიშნული ვადა უზრუნველყოფს საზოგადოების უფრო ეფექტიან ჩართულობასაც, ვინაიდან საზოგადოებას ეძლევა საკმარისი დრო, საკუთარი მოსაზრებების/შენიშვნების წარსადგენად.

კანონპროექტი შედგება 5 თავის, 30 მუხლის და 3 დანართისგან (დანართი I - ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების ნუსხა; დანართი II - დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი; დანართი III - საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრის კრიტერიუმები).

პირველი თავი (ზოგადი დებულებები). ამ თავში მოცემულია კანონის რეგულირების საგანი, ტერმინთა განმარტებები, განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების უფლებამოსილება სამრეწველო ემისიების პრევენციისა და კონტროლის სფეროში, ჩამოყალიბებულია ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების პრინციპები.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტს შემოაქვს საერთაშორისო კანონმდებლობაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული ახალი ტერმინები: „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა“, „საუკეთესო ხელმისაწვდომის ტექნიკის სახელმძღვანელო“, „დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ“, „ემისიის ზღვრული მნიშვნელობები“, „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამისი ემისიის დონეები“, „საბაზისო ანგარიში“, „ზოგადი სავალდებულო წესები“, რომლებიც წარმოადგენს გარემოს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის (IPPC) სისტემის იმპლემენტაციის უმთავრეს ელემენტებს და მნიშვნელოვანია „ევროდირექტივის“ იმპლემენტაციისთვის.

კანონპროექტის სიახლეს წარმოადგენს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად საბაზისო ანგარიშის (ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის) წარმოდგენის ვალდებულება, რომელიც ვრცელდება იმ საქმიანობებზე, რომლებიც ითვალისწინებს კანონპროექტის II დანართით გათვალისწინებული კონკრეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყენებას, წარმოებას ან გარემოში მოხვედრას. საბაზისო ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილის გამოყენების შესახებ და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში - ნიადაგსა და მიწისქვეშა წყლებზე ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ არსებულ ინფორმაციას. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განხორციელება საბაზისო ანგარიშით დადგენილ მდგომარეობასთან შედარებით ნიადაგის ან/და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას გამოიწვევს, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იქნება მიიღოს საჭირო ზომები ამ დაბინძურების აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოს აღნიშნული ადგილის საბაზისო ანგარიშში მითითებულ მდგომარეობამდე აღდგენა (ტექნიკური განხორციელებადობის შემთხვევაში).

კანონპროექტის მოცემული თავი ადგენს ასევე ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან გადახვევის წესს და განსაზღვრავს საქმიანობის განმახორციელებლისთვის ინციდენტის/ავარიის პრევენციისა და მათი შედეგების შერბილების ვალდებულებებს.

მეორე თავი (ინტეგრირებული ნებართვის გაცემა). ამ თავში განსაზღვრულია ინტეგრირებული ნებართვის გაცემის წესი. კერძოდ, დადგენილია მოთხოვნები გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო განაცხადთან დაკავშირებით და განსაზღვრულია ადმინისტრაციული წარმოების წესი, რომელიც მათ შორის, მოიცავს საექსპერტო კომისიის შექმნისა და ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ეტაპებს.

კანონპროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობა ასევე ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, საქმიანობაზე გაიცემა ინტეგრირებული ნებართვა. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ განაცხადს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად მომზადებული გზშ-ის ანგარიში და ნებართვის გაცემის პროცედურა წარიმართება „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონის შესაბამისად, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად განსაზღვრული პირობები შესაბამისად აისახება ინტეგრირებულ ნებართვაში.

მეორე თავი ასევე ადგენს ინტეგრირებული ნებართვის გაცემისა და ნებართვის გაცემაზე უარის თქმის პირობებს. მოცემულ თავში ასევე განსაზღვრულია ის კონკრეტული გარემოებებიც, რომლებიც გაცემულ ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანის საფუძველს წარმოადგენს, მათ შორის: როდესაც საქმიანობა ან საწარმოო პროცესი არ არის გათვალისწინებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა განვითარდა იმგვარად, რაც უზრუნველყოფს ემისიების

მნიშვნელოვან შემცირებას; ექსპლუატაციის უსაფრთხოება მოითხოვს სხვა ტექნიკის/ტექნოლოგიის დანერგვას; საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიცა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალი დასკვნები, ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად; საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროებს ინტეგრირებული ნებართვით დადგენილი ემისიის ზღვრული მნიშვნელობების გადახედვას, ან ემისიის ახალი ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრას; შეიცვალა გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები, რომელთა საფუძველზეც საჭიროა ინტეგრირებული ნებართვის პირობების გადახედვა; ნებართვაში ცვლილების შეტანა აუცილებელია ნებართვის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ინტეგრირებულ ნებართვაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა იქნება ეფექტიანი და მოქნილი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ტექნიკურ პროგრესთან და გარემოსდაცვითი რეგულაციების ცვლილებებთან ეტაპობრივ ადაპტირებას.

მეორე თავი მოიცავს ასევე მუხლებს ინტეგრირებული ნებართვის სხვა პირისთვის გადაცემის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე. „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს ინტეგრირებული ნებართვის სხვა პირისთვის სრულად გადაცემას. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს „ევროდირექტივის“ და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების პრინციპებს აგრეგაციისა და შეკრების შესახებ, რომლებიც გულისხმობს საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული დანადგარების სიმძლავრეთა შეჯამებას და სათანადოდ მკაცრი პირობების/ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დადგენას მათი ჯამური სიმძლავრის საფუძველზე. შედეგად, მიღებული გადაწყვეტილების (ინტეგრირებული ნებართვის) პირობებში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების კუმულაციური ეფექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოირიცხება ის შემთხვევები, როცა საქმიანობის განხორციელების ნებართვის ნაწილობრივი გადაცემის შედეგად ხდება საწარმოო სიმძლავრეების და შესაბამისად, პასუხისმგებლობის „დანაწევრება“ და აქედან გამომდინარე, დადგენილი გარემოსდაცვითი რეგულაციების თავიდან არიდება.

მესამე და მეოთხე თავები. მესამე თავი განსაზღვრავს მონიტორინგისა და ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლის მექანიზმს. ასევე ადგენს ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევით გამოწვეული ადმინისტრაციული საქმის წარმოების წესსა და შესაბამის სახდელებს.

მონიტორინგი გულისხმობს როგორც ინტეგრირებული ნებართვით განსაზღვრული პირობების თვითმონიტორინგს (სიხშირე დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით ან ზოგადი სავალდებულო წესებით), ისე ემისიებთან დაკავშირებულ მონიტორინგსაც, რომლის მოთხოვნები (მ.შ. გაზომვის მეთოდოლოგია, სიხშირე, შეფასების პროცედურა) უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებს.

ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლის სისტემა დაფუძნებული იქნება გარემოსდაცვითი რისკების შეფასებაზე და მისი სიხშირე დამოკიდებული იქნება საქმიანობიდან გამომდინარე რისკებზე (ყველაზე მაღალი რისკების მქონე საქმიანობებისთვის -არანაკლებ წელიწადში ერთხელ და ყველაზე დაბალი რისკების მქონე საქმიანობებისთვის - არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ). ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი ინსპექტირება განხორციელდება ინტეგრირებული ნებართვის გაცემამდე, ნებართვის ხელახალ განხილვამდე ან განახლებამდეც, შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მეხუთე თავი (გარდამავალი და დასკვნითი დებულებები).
აღნიშნულ თავში მოცემულია კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები, განსაზღვრულია მისაღები/გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და დადგენილია კანონის ამოქმედების ვადა (2026 წლის 1 სექტემბერი).
ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);
კანონპროექტი ეხმიანება 2021 – 2024 სამთავრობო პროგრამას („ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“), რომლის 2.12 ქვეთავის (გარემოს დაცვა) მიხედვით, საქართველოს განაგრძობს რეფორმებს გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოებისთვის, ასევე, გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება.
ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;
კანონი, გარდა მისი პირველი - 27-ე მუხლებისა და I - III დანართებისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება, რათა საჭიროა არსებობდეს საკანონმდებლო საფუძველი, რომ კანონის სრულად ამოქმედებამდე მიღებულ/გამოცემულ იქნეს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები. კანონის პირველი - 27-ე მუხლებისა და I - III დანართების ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2026 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნული თარიღი განსაზღვრულია იმ გათვლით, რომ სამრეწველო სექტორს სჭირდება საკმარისი დრო, საქმიანობის კანონპროექტით გათვალისწინებულ ახალ რეგულაციებთან ადაპტირებისთვის/მომავალი საქმიანობის შესაბამისი დაგეგმვისთვის. ასევე, აუცილებელია გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება: შესაბამისი უწყებების ინსტიტუციური გაძლიერება, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების ეტაპობრივი თარგმნა და სხვ. ამასთან, ეს თარიღი ასევე თავსებადია „ასოცირების შეთანხმებით“ დადგენილ, „ევროდირექტივის“ დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვისთვის განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადებთან. კერძოდ, „ასოცირების შეთანხმების“ XXVI დანართის (გარემოს დაცვა) სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეების ნაწილის მიხედვით, რომელიც ეხება „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივას - აღნიშნული დირექტივასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი საბოლოოდ უნდა დასრულდეს (ამ „ევროდირექტივის“ შესაბამისი დებულებები უნდა შესრულდეს) „ასოცირების შეთანხმების“ ძალაში შესვლიდან (01/09/2014 წ.) 12 წლის ვადაში. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.
ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):
კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება უკავშირდება გარკვეულ ხარჯებს, რომლებიც გაწეული უნდა იქნას როგორც კანონის ამოქმედებამდე (გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების გახორციელება), ისე კანონის ამოქმედებიდან (2026 წლის 1 სექტემბერი) და კანონის ამოქმედების მომდევნო წლებშიც. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი (ცალკეული ღონისძებები ასევე შესაძლებელია დაფინანსდეს საერთაშორისო დონორების დახმარებით). კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულაციების აღსრულებისთვის საჭირო იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტში (2026 წელს და შემდგომ წლებში) უნდა მოხდეს შესაბამისი თანხების გათვალისწინება (დეტალურად: განმარტებითი ბარათის „ბ.გ“ ქვეპუნქტი). აქედან გამომდინარე, ამ კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების/ქმედებების განხორციელება შესაბამისი კომპეტენტური უწყებების მიერ განხორციელდება მათთვის კანონმდებლობის დადგენილი წესით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტი გარკვეულ გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ:
კანონის ამოქმედებიდან (2026 წლის 1 სექტემბერი) ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობების განმახორციელებლებს/საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებულ პირებს მოუწევთ ინტეგრირებული ნებართვის აღება და ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებლის (5000 ლარი) გადახდა. ამ მოსაკრებლის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული თანხების ოდენობა დამოკიდებული იქნება ინტეგრირებული ნებართვების მიღების განაცხადების რაოდენობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით არსებული საქმიანობების/ობიექტების რაოდენობა, რომლებსაც ინტეგრირებული ნებართვის აღება დაჭირდებათ, არის დაახლოებით 250. შესაბამისად, მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებლის სახით გადასახდელი თანხა, ჯამში, იქნება დაახლოებით 1,250,000 ლარი (250 X 5000). ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ კანონპროექტის მიხედვით, არსებული საქმიანობების განმახორციელებლების მიერ ინტეგრირებული ნებართვების მიღებისთვის ეტაპობრივი პროცედურა და სხვადასხვა ვადებია გათვალისწინებული (2031 წლამდე), შესაბამისად, მათ მიერ ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებლის სახით გადახდილი თანხებიც, წლების მიხედვით, განსხვავებული იქნება.

კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია დაჩქარებული წესით მომსახურების საფასური (2500 ლარი). ეს თანხა წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაწეული დამატებითი მომსახურების/სერვისის საფასურს, რომელსაც დაინტერესებული პირი გადაიხდის მხოლოდ დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნისას. აღნიშნული საფასური წარმოადგენს სააგენტოს შემოსავალს და მისი ოდენობა დამოკიდებული იქნება განმცხადებლების სურვილზე - ინტეგრირებული ნებართვა მიიღონ დაჩქარებული წესით - 80 სამუშაო დღეში (ნაცვლად სტანდარტული, 120 სამუშაო დღისა).

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენის შეფასებისას ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ პოტენციური ახალი საქმიანობებიც/ობიექტებიც. ზოგადი სტატისტიკით, ახალი სამრეწველო ობიექტების რაოდენობა, ეკონომიკური ზრდის პირობებში, ყოველწლიურად შეადგენს მოქმედი საწარმოების დაახლოებით 4-5 %-ს (პლიუს 1-2 %). აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ ეკონომიკური ზრდა საქართველოში, საშუალოვადიან პერსპექტივაში, სტაბილურად გაგრძელდება, დაახლოებით ამ პარამეტრების ფარგლებშია მოსალოდნელი ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული ახალი საწარმოების შექმნა, შემდგომი წლებშიც. გამომდინარე იქედან, რომ ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული არსებული საქმიანობების/საწარმოების რაოდენობა, ამ ეტაპზე, დაახლოებით 250-ია, ზემოაღნიშნული გათვლების მიხედვით, კანონის ამოქმედების (2026 წლის 1 სექტემბერი) შემდეგ, ყოველწლიურად, ინტეგრირებული ნებართვის გაცემა მოხდება, სავარაუდოდ, 15-20 ახალ საქმიანობაზე მაინც. შესაბამისად, ამ ახალი საქმიანობების განსახორციელებლად ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად მოსაკრებლის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შესული მოსაკრებელის ოდენობა, ყოველწლიურად, იქნება 75 000-100 000 ლარი.

კანონპროექტი ადგენს სამართლებრივ პასუხისმგებლობას ინტეგრირებული ნებართვის გარეშე საქმიანობისთვის და ინტეგრირებული ნებართვის პირობების დარღვევისთვის, რისთვისაც სანქციის სახით გათვალისწინებულია ჯარიმები (ერთ შემთხვევაში, 25 000 ლარიდან 30 000 ლარამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში - 10 000 ლარიდან 15 000 ლარამდე), შესაბამისად, კანონპროექტის მიღება, ამ მიმართულებითაც (გადახდილი ჯარიმები) გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას (კანონის ამოქმედებიდან). სახელმწიფო ბიუჯეტში ამ ჯარიმების სახით შესული თანხების ოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევების რაოდენობაზე და სასამართლოების მიერ დაკისრებული ჯარიმებზე. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ მსგავსი სახის სამართალადარღვევების სტატისტიკას („გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე (121 დარღვევა - 2022 წ. (1 ოქტომბრამდე)); გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა (96 დარღვევა - 2022 წ. (1 ოქტომბრამდე)) - ზემოაღნიშნული ახალი სამართალდარღვევების რაოდენობა წელიწადში, ერთობლივად, შეიძლება იყოს 200-მდე. შესაბამისად, დადგენილი სანქციების ოდენობების გათვალისწინებით (25 000-30 000 ლარამდე, 10 000-15 000 ლარამდე), მინიმალური გათვლებით, ჯარიმების სახით დაკისრებული თანხამ შესაძლებელია შეადგინოს ორიდან სამ მილიონ ლარამდე (ამასთან, უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხის ოდენობა დამოკიდებული იქნება დაკისრებული ჯარიმების გადახდაზე/სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაზე).

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

„სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონის მიღების შემთხვევაში დღის წესრიგში დგება კანონის განხორციელებისთვის საჭირო ზომების (მათ შორის სააგენტოს და სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება (ადამიანური რესურსების და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დამატება)) მიღების აუცილებლობა, როგორც კანონის ამოქმედებამდე, ასევე, კანონის ძირითადი ნაწილის ამოქმედებიდან (2026 წლის 1 სექტემბერი) და შესაბამისად, შემდგომ წლებშიც. ძირითადი ხარჯები უკავშირდება ინტეგრირებული ნებართვის გაცემისთვის სააგენტოს, ხოლო ინტეგრირებული ნებართვის პირობების კონტროლის/მონიტორინგის განსახორციელებლად - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სათანადო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას. კერძოდ:

- სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს, 2026 წლის იანვრიდან საჭიროა დაემატოს 12 საშტატო ერთეული, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით და ამისთვის უნდა გამოიყოს შემდეგი თანხები: 12 საშტატო ერთეულის შრომის ანაზღაურება - - 328,152 ლარი (ყოველწლიურად); საოფისე ტექნიკა (კომპიუტერები, პრინტერები) - 25,000 ლარი; საოფისე ავეჯი - 12,000 ლარი; საკანცელარიო საქონელი - 800 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯი - 1500 ლარი (ყოველწლიურად); ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალების შეძენა - 150,000 ლარი; ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალების საწვავი, ტექმომსახურება, მოვლა-შენახვა, დაზღვევა - 50,000 ლარი (ყოველწლიურად); მივლინება - 40,000 ლარი (ყოველწლიურად). სულ, ჯამში, 2026 წელს - 607,452 ლარი.

სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი იქნება პასუხისმგებელი ინტეგრირებული ნებართვის გარეშე საქმიანობის აღკვეთაზე და ინტეგრირებული ნებართვის პირობების შესრულების კონტროლზე. აღნიშნული ახალი სფეროს რეგულირების უზრუნველყოფა, დეპარტამენტის დღეს არსებული რესურსებით შეუძლებელია. შესაბამისად, საკუთარი ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დეპარტამენტს

დაემატოს 16 ინსპექტორის საშტატო ერთეული და ამისთვის გამოიყოს საჭირო თანხები, შემდეგი ოდენობით: 16 ინსპექტორის შრომის ანაზღაურება - 380 160 ლარი; აღჭურვილობა - 28 000 ლარი; უნიფორმა - 16X1200=19 200 ლარი; საოფისე ტექნიკა (კომპიუტერები, პრინტერი/სკანერები, მაცივრები ლაბორატორიული მასალისთვის) - 70 000 ლარი; საოფისე ავეჯი, სხვადასხვა საოფისე საქონელი - 14 000 ლარი; პერსონალის დაზღვევის ხარჯი - 11 520 ლარი; ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯი - 1920 ლარი; ექსპერტიზისა და ლაბორატორიული კვლევების ხარჯი - 160 000 ლარი; მივლინება - 27 200 ლარი. ჯამში, საჭირო იქნება 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ 712 000 ლარის გამოყოფა.

ამასთან, საქართველოს მთავრობის მიერ დაანონსებული, სახელმწიფო სამსახურში 2026 წლამდე, ყოველწლიურად, შრომის ანაზღაურების 10 %-იანი ზრდის გეგმის განხორციელების შემთხვევაში, სააგენტოს და დეპარტამენტის ახალი თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული თანხები შესაბამისად დაზუსტდება (გაიზრდება). აქვე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენისთვის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული თანხებიც ასევე შეიძლება დაკორექტირდეს ამ საშუალებებზე არსებული ფასების ცვლილებების და ინფლაციის გათვალისწინებით.

კანონპროექტის მიხედვით, სააგენტოში მიმდინარე ინტეგრირებული ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს ექსპერტიზას და საზოგადოების მონაწილეობას. ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიქმნება საექსპერტო კომისია. ექსპერტიზის ჩატარებას (კომისიის შექმნა, კომისიის ფუნქციის განსაზღვრა, კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის განხილვა) უზრუნველყოფს სააგენტო, საკუთარი ბიუჯეტიდან. ექსპერტი შეიძლება იყოს სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულების წარმომადგენელი ან/და საზოგადოებრივი ექსპერტი (განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე). სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულების თანამშრომელი საექსპერტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს დამატებითი ანაზღაურების გარეშე. რაც შეეხება საზოგადოებრივ ექსპერტს, იგი ექსპერტიზის პროცესში მონაწილეობას მიიღებს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებრივ ექსპერტთა შრომის ანაზღაურებას სააგენტო განახორციელებს მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ან საკუთარი შემოსავლებიდან, „საზოგადოებრივ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად. ამ ბრძანების მიხედვით (2022 წლის მდგომარეობით), საზოგადოებრივი ექსპერტის შრომის ანაზღაურება არის 500 ლარი (თითოეულ ექსპერტიზაზე), ხოლო საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურება - 700 ლარი.

რაც შეეხება საჯარო განხილვის ორგანიზებას და ჩატარებას. აღნიშნულს უზრუნველყოფს სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, მისთვის გამოყოფილი ასიგნებების და რესურსების შესაბამისად. ამასთან, საჯარო განხილვის ორგანიზება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის (სადაც უნდა ჩატარდეს საჯარო განხილვა), ისინი საჯარო განხილვის ჩატარების საკითხში ცენტრთან ითანამშრომლებენ მათი რესურსების ფარგლებში, ისევე, როგორც ეს დღესდღეობით ხორციელდება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული საჯარო განხილვის ორგანიზების პროცესში. კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ცენტრის მიერ ინტეგრირებული ნებართვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების არამარტო გამოქვეყნებას, არამედ, მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე მისი ნაბეჭდი ეგზემპლარების ხელმისაწვდომობასაც, რაც გულისხმობს დაინტერესებული პირების შესაძლებლობას, მიიღონ აქტების ასლები კანონმდებლობით

(„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი) დადგენილი წესით.

კიდევ ერთი ვალდებულება, რომელსაც „ასოცირების შეთანხმება“ ითვალისწინებს, არის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა („ევროდირექტივის“ მუხლები 8, 14(1)(დ) და 23). ამ მიზნით უნდა შეიქმნას შემოწმების სისტემა და მოხდეს შემოწმების გეგმების შემუშავება, როგორც ეს განსაზღვრულია „ევროდირექტივის“ 23-ე მუხლით და წარმოდგენილი კანონპროექტით. სსდ- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, საკუთარი რესურსებით, უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი შემოწმების სტრატეგიის და გარემოსდაცვითი შემოწმების ყოველწლიური პროგრამის შემუშავებას (დამტკიცებდება მინისტრის მიერ). შემოწმების პერიოდულობა დაეფუძნება შესაბამისი ობიექტების გარემოსდაცვით რისკებს და არ იქნება 1 წელიწადზე მეტი ყველაზე მაღალი რისკის მქონე ობიექტებისთვის და 3 წელიწადი - ყველაზე დაბალი რისკის მქონე ობიექტებისთვის. წინასწარი მიახლოებითი შეფასების თანახმად, საწარმოების დაახლოებით 75 % წარმოადგენს დაბალი რისკის მქონე ობიექტს, 20 % - საშუალო რისკის მქონე ობიექტს, ხოლო 5 % - მაღალი რისკის მქონე ობიექტს. ერთი შემოწმების საშუალო ხანგრძლივობაა 20 სამუშაო დღე (წინასწარი დოკუმენტების ანალიზის, ადგილზე ვიზიტისა და ანგარიშგების ჩათვლით). აღნიშნული შემოწმებები დაიწყება კანონის ამოქმედებიდან (2026 წ.) და მათ, კომპეტენციის შესაბამისად, განახორციელებს სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონიდან გამომდინარე დაგეგმილია აღნიშნული უწყების ადამიანური/ტექნიკური/ფინანსური რესურსებით გაძლიერება, ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციების (კონტროლი, შემოწმებები) შესრულების უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება სააგენტოს მიერ წარმოებულ მონიტორინგს, იგი განხორციელდება საქმიანობის განმახორციელებელის მიერ შედგენილი და სააგენტოში წარმოდგენილი მონიტორინგის შედეგების შეფასების გზით, არსებული (მათ შორის, ამ კანონიდან გამომდინარე სააგენტოსთვის დამატებული) რესურსების ფარგლებში.

კანონპროექტის მიხედვით, მის საფუძველზე, ჩამოყალიბდება ინტეგრირებული სანებართვო სისტემა (2026 წლის 1 სექტემბრიდან). ამასთან, სააგენტო უფლებამოსილია შექმნას ინტეგრირებული ნებართვების ელექტრონული სისტემა. ასეთი სისტემის შექმნის შესაძლებლობას ითვალისწინებს „ევროდირექტივაც“. აღნიშნული სისტემის შექმნა მოხდება სააგენტოსთვის განსაზღვრული რესურსებით.

გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული კანონპროექტით განსაზღვრული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების თარგმნა. ამ ეტაპზე ევროკავშირის მიერ დამტკიცებულია 14 ასეთი დასკვნა (დაახლოებით 600 გვერდი). გამომდინარე იქედან, რომ ამ დასკვნების გათვალისწინების ვალდებულება ამოქმედდება კანონის ძალაში შესვლისთანავე (2026 წლის 1 სექტემბერი), შესაბამისად, მათი ქართულ ენაზე თარგმნა უნდა მოხდეს ამ თარიღამდე, 2023-2026 წლებში. შესაბამისად, თარგმნის უზრუნველსაყოფად, სააგენტოს, მითითებულ წლებში, დამატებით უნდა გამოეყოს შესაბამისი თანხები (8000-10000 ლარი).

კანონპროექტის მიღება ასევე გარკვეულ გავლენას მოახდენს სხვა კომპეტენტური უწყებების (მაგ: ინტეგრირებული ნებართვის გაცემის პროცესში „დაინტერესებული უწყების“ სტატუსით ჩართული ორგანოები, სამართალდარღვევების განმხილველი სასამართლო ორგანოები, აღსრულების ეროვნული ბიურო (სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა) და ა.შ.) საქმიანობაზეც, ვინაიდან კანონის პრაქტიკაში აღსრულების პროცესში, საკუთარი ფუნქციებიდან გამომდინარე გაიზრდება ამ უწყებების დატვირთვაც. ამ დატვირთვის მოცულობა დამოკიდებული იქნება კანონიდან გამომდინარე, საკითხების გადაწყვეტაში, კომპეტენციის შესაბამისად, უწყებების ჩართულობის აუცილებლობაზე,

კანონის მოთხოვნების დარღვევების შემთხვევების რაოდენობაზე, სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევებზე და ა.შ. ამ საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების (მაგ: საკითხზე უწყების პოზიციის ჩამოყალიბება, დასკვნის შემუშავება, სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის განხილვა და ა.შ.) უწყებები უზრუნველყოფენ მათთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, აგრეთვე, სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტით დგინდება ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად გადასახდელი მოსაკრებელი - 5000 ლარი (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში დამატებით, დაჩქარებული მომსახურების საფასური - 2500 ლარი). შესაბამისად, აღნიშნული თანხის გადახდა მოუწევთ შესაბამისი საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებულ (ნებართვის მაძიებელ) პირებს, ასევე არსებული საქმიანობების განმახორციელებლებს, რომლებიც დაექვემდებარებიან ამ კანონით გათვალისწინებულ ინტეგრირებულ სანებართვო რეჟიმს (არსებული ობიექტების რაოდენობა, რომლებსაც ამ კანონის შესაბამისად ინტეგრირებული ნებართვის აღება დაჭირდებათ, არის დაახლოებით 250). აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ ახალი რეგულაციები, კანონის დანართით განსაზღვრული საქმიანობების გათვალისწინებით, ძირითადად შეეხება მსხვილ საწარმოებს/სამრეწველო ობიექტებს და შესაბამისად, ზემოაღნიშნული მოსაკრებელი საშუალო და მცირე ბიზნესს ტვირთად არ დააწვება.

რაც შეეხება სხვა დამატებით ხარჯებს. სამრეწველო სექტორს, რომელიც ექცევა ამ კანონის რეგულირების სფეროში, 2026 წლის 1 სექტემბრიდან მოუწევს საქმიანობაში საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის ეტაპობრივი დანერგვა, რაც შესაბამისად, გარკვეულ ხარჯებთან (ტექნიკის მოძიება, შეძენა, ინსტალაცია და ა.შ.) იქნება დაკავშირებული. აღნიშნული ხარჯები იქნება ინდივიდუალური, ვინაიდან დამოკიდებულია საქმიანობის სპეციფიკაზე, გამოყენებული ნედლეულზე, საწარმოო პროცესების სახიფათოობის ხარისხზე, გამოყენებულ ტექნოლოგიაზე, საქმიანობიდან გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკის დონეზე, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის არსებობაზე და სხვა მრავალ ფაქტორზე. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთ ტექნიკას, როგორც წესი, ეკონომიკური თვალსაზრისით, პერსპექტივაში მაღალი უკუგება გააჩნია (ნაკლები ემისიები, გარემოსთვის ზიანის მიყენების ნაკლები რისკი (დაზღვევის შემთხვევაში - ნაკლები სადაზღვევო შენატანი), ექსპლუატაციის ნაკლები დანახარჯები და ა.შ.).

გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული ინტეგრირებული ნებართვის მისაღებად წარსადგენი სანებართვო დოკუმენტაციის (განაცხადი, გზშ-ს ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში), საბაზისო ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში)) მომზადებაც. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯებიც გაწევაც ასევე მოუწევთ ინტეგრირებული ნებართვის მიღებით დაინტერესებულ პირებს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების უმრავლესობა ასევე ხვდება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ რეგულირების სფეროში და ასეთი საქმიანობების განხორციელებით დაინტერესებულ პირებს, საქმიანობაზე გარემოსდაცვითია გადაწყვეტილების მისაღებად ისედაც უწევთ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული პროცედურების

გავლა (განაცხადი, გზშ-ს ანგარიშის მომზადება, სხვადასხვა სახის ინფორმაციის/ანგარიშების წარდგენა და ა.შ.) - ამ თვალსაზრისით, „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული განაცხადის განხილვის პროცედურის ფარგლებში ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა მათთვის დამატებით ახალ ვალდებულებას არ წარმოადგენს.

საქმიანობის განმახორციელებლებს აგრეთვე გარკვეული ხარჯების გაწევა მოუწევთ ინტეგრირებული ნებართვით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად და მათი შესრულების მონიტორინგისთვის. აღნიშნული ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება სქმიანობის სახეზე, მასშტაბზე, კონკრეტულ სანებართვო პირობებზე და სხვა გარემობებზე.

ასევე, კანონპროექტით საქმიანობის განმახორციელებლებს ევალებათ, საქმიანობის შეწყვეტისას, საქმიანობის შედეგად ნიადაგის და წყლების დაბინძურების შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით და პასუხისმგებლობით, უზრუნველყონ საქმიანობის ადგილის აღდგენა და ამისთვის საჭირო ყველა შესაბამისი ქმედების (ტერიტორიაზე გარემოს მდგომარეობის შეფასება, საჭირო აღდგენის ღონისძიებების განხორციელება, ადამიანის ჯანმრთელობის ან/და გარემოსთვის არსებული რისკების აღმოფხვა) მიღება. ამ ზომების მისაღებად საჭირო ხარჯების ოდენობა, სხვადასხვა საქმიანობისთვის განსხვავებული იქნება, რადგან დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე (საქმიანობის სპეციფიკა, დაბინძურების დონე, აღსადგენი ტერიტორიის ფართობი, აღდგენის ღონისძიებების განხორციელების სირთულე, დარგობრივი ექსპერტების ჩართულობის აუცილებლობა, აღდგენის პროცესის ხანგრძლივობა და სხვ.). აქვე აღსანიშნავია, რომ დაზიანებული გარემოს აღდგენის ვალდებულება არ არის ამ კანონპროექტის სიახლე. იგი ეფუძნება გარემოსდაცვით პრინციპს - „დამბინძურებელი იხდის“ და დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

მეორეს მხრივ, კანონპროექტის მიღება, შესაბამისი საქმიანობების განხორციელებით დაინტერესებული პირების ფინანსური, ადამიანური რესურსების და დროს დაზოგვასაც გამოიწვევს იმ თვალსაზრისით, რომ ინტეგრირებული მიდგომის პრინციპის შესაბამისად, დღეს მოქმედი ყველა ცალკეული უფლებააღმჭურველი აქტი, რომელიც გარემოს დაცვის სფეროს სხვადასხვა მიმართულებას ეხება (გზშ, ემისიები, ნარჩენების წარმოქმნა და სხვ.), რომელთა აღებაც სუბიექტს სხვადასხვა, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უწევს (რაც დაკავშირებულია ცალკე ბიუროკრატიულ პროცედურებთან, ხარჯებთან), გაერთიანდება ამ კანონით განსაზღვრულ ერთ ადმინისტრაციულ წარმოებაში და ერთი ავტორიზაციის დოკუმენტში - ინტეგრირებულ ნებართვაში. შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებულ პირებს მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ ყველა სავალდებულო უფლებააღმჭურველი დოკუმენტის მოპოვებისთვის საჭირო სხვადასხვა სახის ბიუროკრატიული პროცედურების გავლასთან დაკავშირებული ხარჯები, სხვა რესურსები და აქედან გამომდინარე, უფრო გამარტივებულად შეძლებენ საქმიანობის ნებართვის მიღებას და ეკონომიკური საქმიანობის დაწყებას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით დგინდება ინტეგრირებული ნებართვის მოსაკრებელი - 5000 ლარი (დაჩქარებული წესით მომსახურებისას - დაჩქარებული მომსახურების საფასური - 2500 ლარი). მოსაკრებლის ოდენობა დადგინდა ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების მასშტაბის/სპეციფიკის, ექსპერტიზის (მათ შორის, შესაბამისი დარგის/კვალიფიკაციის ექსპერტების ჩართულობისაქმიანობიდან მოსალოდნელი ემისიების დონისა და ინტეგრირებული ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების გათვალისწინებით.

კანონპროექტით ასევე განისაზღვრება ჯარიმები ინტეგრირებული ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელებისთვის (25 000-30 000 ლარი) და ინტეგრირებული ნებართვის პირობების შეუსრულებლობისთვის (10 000-15 000 ლარი). ჯარიმების ოდენობა განისაზღვრა ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობების მიერ გამოწვეული დაბინძურებისა და გარემოსთვის პოტენციურად მისაყენებელი ზიანის დონის გათვალისწინებით და ჯარიმების პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტი შეესაბამება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის „სამრეწველო ემისიების შესახებ“ 2010/75/EU დირექტივას.
გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.
გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტი გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ 306-ე მუხლიდან, რომლის თანახმად, „საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად“. ამავე დანართში (გარემოს დაცვა) მითითებული ერთ-ერთი სფერო, რომელთანაც საქართველომ განსაზღვრულ ვადებში უნდა დაახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან არის სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები, ამ მიმართულებით სახელმძღვანელოდ აღებულ უნდა იქნას 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ.
გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტი შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და მიმდინარე დამმობილების პროექტის („საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო

დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“) ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტების უშუალო მონაწილეობით.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი დადებითად შეფასდა საერთაშორისო ექსპერტების მიერ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ კანონპროექტის შემუშავებაში.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.